ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის
საბჭოს 15.02.2013 სხდომის

# ოქმი №1

სხდომას ესწრებოდა: საბჭოს 34 წევრთაგან - 19

## დღის წესრიგი:

1. ფაკულტეტის კურიკულუმში ცვლილებების შესახებ
   მომხს: დ. ოსეფაშვილი
2. გაუქმებული სადოქტორო პროგრამების შესახებ
   მომხს: დ. ოსეფაშვილი
3. მაგისტრატურის 2013-14 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის დამტკიცება
   მომხს: დ. ოსეფაშვილი
4. ცვლილება ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში
   მომხს: თ. დოლბაია
5. ფაკულტეტის საბჭოში ვაკანტური ადგილის შესახებ
   მომხს: ს. კაპანაძე
6. მიმდინარე საკითხები

მოისმინეს: 1. ფაკულტეტის კურიკულუმში შესატანი ცვლილებები დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. დალი ოსეფაშვილმა

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, ნ. მაჭარაშვილმა, მ. მაცაბერიძემ და სხვ.
დაადგინეს: დამტკიცდეს ფაკულტეტის კურიკულუმი წარმოდგენილი ცვლილებების გათვალისწინებით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 2. გაუქმებული სადოქტორო პროგრამების გაგრძელების შესახებ ისაუბრა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. დალი ოსეფაშვილმა

აზრი გამოთქვეს: ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, ი. სალუქვაძემ, თ. გაგოშიძემ და სხვ.

დაადგინეს: გარდამავალი (ე.წ. ინდივიდუალური) სადოქტორო პროგრამების მოქმედების ვადა განისაზღვროს 2013 წლის 31 დეკემბრამდე, ხოლო 2007-დან 2011 წლამდე ჩარიცხული დოქტორანტები გადავიდნენ ახალ პროგრამებზე

მოისმინეს: 3. მაგისტრატურის 2013-14 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარის პროექტი

დამსწრეთ გააცნო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მ. შ. დალი ოსეფაშვილმა

აზრი გამოთქვეს: მ. გერსამიამ, ი. სალუქვაძემ, თ. გაგოშიძემ, გ. გოგსაძემ და სხვ

დაადგინეს: დამტკიცდეს მაგისტრატურის 2013-14 სასწავლო წლის ანკეტა-კითხვარი წარმოდგენილი სახით (ოქმს თან ერთვის)

მოისმინეს: 4. ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში ცვლილების შესახებ მომხსენებელმა თ. დოლბაიამ სხდომის წევრებს აუწყა, რომ კომისიაში თავმჯდომარის სტატუსით შესაყვანია დეკანის მოვალეობის შემსრულებელი ს. კაპანაძე

აზრი გამოთქვეს: ი. სალუქვაძემ, ზ. დავითაშვილმა

დაადგინეს; შევიდეს ცვლილება ფაკულტეტის საატესტაციო კომისიის შემადგენლობაში და კომისიაში შეყვანილ და თავმჯდომარედ არჩეულ იქნას ს. კაპანაძე

მოისმინეს: 5. ფაკულტეტის საბჭოში ვაკანტური ადგილის შესახებ ისაუბრა დეკანის მ. შ. ს. კაპანაძემ. მან საბჭოს წევრებს შეახსენა საბჭოს ფორმირების წესი (რექტორის ბრძანება №41/01-01;14.03.2012) და ვინაიდან დეკანის მ. შ. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან დაინიშნა, ამ მიმართულებას უნდა დაემატოს კიდევ ერთი წევრი და ასე შეივსოს 1 ვაკანტური ადგილი 35 წევრამდე. მანვე დამსწრეთ წარუდგინა მიმართულების სხდომის ოქმი, რომელზეც საბჭოს წევრობის კანდიდატად არჩეულია ა. რონდელი. ასევე, ს. კაპანაძემ დამსწრეთ აცნობა, რომ ფაკულტეტის ყოფილი დეკანი ნ. ბელქანიაც ითხოვდა საბჭოში შეყვანას

აზრი გამოთქვეს: გ. გოგსაძემ, თ. დოლბაიამ, ზ. დავითაშვილმა, მ. გერსამიამ, ი. სალუქვაძემ და სხვ.

დაადგინეს: ფაკულტეტის საბჭოში არსებული 1 ვაკანტური ადგილი დაიკავოს საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების პროფესორმა ა. რონდელმა

მოისმინეს: 6. მიმდინარე საკითხები:

1. ფაკულტეტის დეკანის მ. შ. ს. კაპანაძემ ისაუბრა იმ გეგმებზე, რისი განხორციელების აუცილებლობასაც ხედავს უახლოეს მომავალში. კერძოდ: ბიუჯეტით განსაზღვრული თანხების განკარგვის ფორმის შესახებ, ფაკულტეტზე სახელმძღვანელოების თარგმანისა და კვლევების განსახორციელებლად; საფაკულტეტო სამეცნიერო ჟურნალის შექმნის შესახებ; ფაკულტეტის განვითარების კოლეგიის შექმნის შესახებ და სხვ.

2. ასოცირებულმა პროფესორმა ნ. დურგლიშვილმა ისაუბრა აკადემიური პერსონალის შესარჩევი საკონკურსო კრიტერიუმების ვალიდურობის შესახებ

3. საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულების ხელმძღვანელმა გ. გოგსაძემ თქვა, რომ აკადემიური პერსონალის საკონკურსო ადგილების გამოცხადება უნდა მოხდეს მხოლოდ პროგრამის საჭიროების მიხედვით

4. საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულების ხელმძღვანელმა ზ. დავითაშვილმა ისაუბრა სასწავლო-სამეცნიერო მიმართულებების დეპარტამენტებად გარდაქმნისა და მათში კათედრებისა და სხვა სტრუქტურული ერთეულების შექმნის შესახებ, რაზეც ნ. დურგლიშვილმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ არ უნდა შეიზღუდოს პროფესორთა აკადემიური თავისუფლება და უნდა შემუშავდეს მექანიზმები მისი ქმედებების დასარეგულირებლად.

ფაკულტეტის საბჭოს თავმჯდომარე: ხ. კაპანაძე, ასოცირებული პროფესორი

ფაკულტეტის საბჭოს მდივანი: თ. დოლბაია, ასოცირებული პროფესორი

# ანკეტა-კითხვარი

უმაღლესი სასწავლებლის დასახელება: ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

უმაღლესი სასწავლებლის მისამართი: თბილისი, ჭავჭავაძის 1, 0128 ტელეფონ(ებ)ი 14 23 23 ვებგვერდი: www.tsu.edu.ge

საკონტაქტო პირი: ელ.ფოსტა: study@tsu.ge

განსაკუთრებული მოთხოვნები:

| # | სამაგისტრო პროგრამების ჩამონათვალი | საგანმანათლებლო პროგრამული მიმართულება | მისაღები კონტინგენტი | ერთი კრედიტის ღირებულება | სასპეციალიზაციო საგანი/საგნები | | გამოცდების წილები | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | დასახელება | გამოცდის სავარაუდო თარიღი | სამაგისტრო | | | | | სასპეციალიზაციო | | | |
| | | | | | | | სულ | გააზრ. | ანალიტ. | ლოგიკ. | რაოდ. | სულ | I | II | III |
| 1 | განათლების ფსიქოლოგია და კვლევა | სოციალური | **10** | **37.5** | I განათლების ფსიქოლოგია და კვლევა | **14 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **100** | | |
| 2 | შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია | სოციალური | 15 | **37.5** | I შრომის და ორგანიზაციის ფსიქოლოგია II უცხო ენა(**B1**) | **5–14 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **80** | **20** | |
| 3 | გენდერის კვლევა | სოციალური | 15 | **37.5** | I გენდერი II გასაუბრება III უცხო ენა (**B2**) | **5–14–17 სექტემბერი, 2012 წ.** | | | | | | **100** | **40** | **40** | **20** |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სოციალური ფსიქოლოგია | | | | ფსიქოლოგია II გასაუბრება | სექტემბერი, 20 13 წ. | | | | | | | | | |
| 5 | სოციალური, პოლიტიკური და კულტურული ფსიქოლოგია | სოციალური | 10 | **37.5** | I სოციალური ფსიქოლოგია II გასაუბრება | **14–17 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **50** | **50** | |
| 6 | სოციოლოგია | სოციალური | 15 | **37.5** | I სოციოლოგია; II გასაუბრება | **14–17 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **60** | **40** | |
| 7 | სოციალური მუშაობა | სოციალური | 20 | **37.5** | I სოციალური მუშაობა; II გასაუბრება | **14–17 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **60** | **40** | |
| 8 | ინფორმაციული საზოგადოება და მედიის სოციოლოგია | სოციალური | 15 | **37.5** | I მედიისა და კომუნიკაციის სოციოლოგია II გასაუბრება | **14 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **60** | **40** | |
| 9 | მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები | სოციალური | 25 | **37.5** | I გასაუბრება | **17 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **100** | | |
| 10 | მედია და ახალი ტექნოლოგიები | სოციალური | 25 | **37.5** | I გასაუბრება | **17 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **100** | | |
| 11 | პოლიტიკის მეცნიერება | სოციალური | 25 | **37.5** | პოლიტიკის მეცნიერება | **14 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **100** | | |
| 12 | სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა | სოციალური | 25 | **37.5** | I პოლიტიკური მეცნიერება II გასაუბრება III უცხო ენა (B2) | **5–14–17 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **30** | **20** | **50** |
| 13 | კონფლიქტების ანალიზი და მართვა | სოციალური | 30 | **37.5** | I კონფლიქტების ანალიზი და მართვა; II გაასაუბრება; | **5–14–17 სექტემბერი, 2013 წ.** | | | | | | **100** | **60** | **40** | |
| 14 | ნაციონალიზმისა და ეთნიკურობის | სოციალური | 15 | **37.5** | I საერთაშორისო ურთიერთობები | **5–14 სექტემბერი,** | | | | | | **100** | **60** | | |

| | | | | | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | კვლევები | | | | II უცხო ენა (B1) | 2013 წ. | | | | | | | | | 40 |
| 15 | დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა | სოციალური | 20 | 37.5 | I საერთაშორისო ურთიერთობები IIგასაუბრება; III უცხო ენა (B2) | 5–14 სექტემბერი, 2013 წ. | | | | | | 100 | 50 | 20 | 30 |
| 16 | საზოგადოებრივი გეოგრაფია | სოციალური | 20 | 37.5 | I საზოგადოებრივი გეოგრაფია | 14 სექტემბერი, 2013 წ. | | | | | | 100 | 100 | | |
| 17 | ევრაზიისა და კავკასიის კვლევები (ინგლისურენოვანი) | სოციალური | 20 | 37.5 | I ევრაზიისა და კავკასიის კვლევები II გასაუბრება; III უცხო ენა (B2) | 5–14–17 სექტემბერი, 2013 წ. | | | | | | 100 | 40 | 40 | 20 |
| 18 | ფსიქოლოგიური ანთროპოლოგია (ინტერდისციპლინური) | სოციალური | 20 | 37.5 | I გასაუბრება | 17 სექტემბერი, 2013 წ. | | | | | | 100 | 100 | | |
| 19 | ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება | სოციალური | 30 | 37.5 | I ორგანიზაციის განვითარება II უცხო ენა (B1) | 2013 წ. სექტემბერი 12-21 | | | | | | 100 | 60 | 40 | |
| 20 | ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება | სოციალური | 10 | 37.5 | I ბავშვთა და მოზარდთა ფსიქოლოგიური შეფასება და კონსულტირება II გასაუბრება (უცხო ენაში ) | 2013 წ. სექტემბერი 20-21 | | | | | | 100 | 70 | 30 | |

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტზე 2013 გაზაფხულის სემესტრში განხორციელებული პროგრამული ცვლილებები

*საბაკალავრო პროგრამები:*

1. საბაკალავრო პროგრამაზე **„სოციოლოგია“** (დანართი N37 ) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

   დაემატოს არჩევითი კურსი: „განათლების სოციოლოგია“;

2. საბაკალავრო პროგრამაზე **„სოციალური სამუშაო“** (დანართი N38 ) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

   შეეცვალოს პროგრამას სახელწოდება და დაერქვას: ***„სოციალური მუშაობა“;***

   დაემატოს არჩევითი კურსი: "სოციალური სამუშაო აივ ინფექცია/შიდსის და სხვა სქესობრივი გზით გადამდები ინფექციების მქონე პირებთან" (5 კრ);

   ერთ-ერთ კურსს "ფსიქოტრავმა და სოციალური მუშაობა" შეეცვალა სახელი და დაერქვა "ფსიქიკური აშლილობები და სოციალური მუშაობა" (5 კრ);

3. საბაკალავრო პროგრამაზე **„საზოგადოებრივი გეოგრაფია“** (დანართი N40 ) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

   დაემატოს 1 ახალი სავალდებულო და 2 ახალი არჩევითი კურსი :

   “საზოგადოებრივი განვითარება და ბუნებრივი გარემო”, სავალდებულო (5 კრ);
   სივრცე, პოლიტიკა, იდენტობა (5 კრ);
   გეოეკონომიკის საფუძვლები (5 კრ);

4. საბაკალავრო პროგრამაზე **„ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“** (დანართი N34) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

   დაემატოს არჩევითი კურსები:
   „ადამიანის უფლებების საკითხების გაშუქება მედიაში“ (4კრ);
   კონვერგენტული მედია და ნიუსრუმი (მუშაობა მულტიპლატფორმებისთვის) (4კრ);
   "სოციალური საკითხების გაშუქება – 2" (4კრ);
   პოლიტიკის საკითხების გაშუქება (4კრ);
   განათლების და მეცნიერების საკითხების გაშუქება(4კრ);
   რეგიონული ჟურნალისტიკა (4კრ);

თანამედროვე მსოფლიოს ისტორიული გეოგრაფია (ინტეგრირებული სემინარი ჟურნალისტებისთვის)(4კრ);
"მასმედია და პოლიტიკური კომუნიკაციები" (5 კრ);
„მეტყველების კულტურა 2“ (4კრ).

5. საბაკალავრო პროგრამაზე **„ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია“ (ქართულ–რუსულენოვანი)**(დანართი N35) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:
   დაემატა საფაკულტეტო სავალდებულო და საფაკულტეტო არჩევითი კურსები.

6. საბაკალავრო პროგრამაზე **„პოლიტიკის მეცნიერება“** (დანართი N36) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:

გაუქმებულია მოთხოვნა მეიჯორის შესასრულებლად თითოეული სასწავლო კონცენტრაციიდან 10 კრედიტის სავალდებულო წესით დაგროვების შესახებ

„მედია და პოლიტიკას“ შეეცვალა სტატუსი და გახდა არჩევითი.
დაემატა სავალდებულო კურსი „პოლიტიკური კომუნიკაცია.“

*დაემატა რამდენიმე არჩევითი საგანი:*
„დემოკრატიზაცია და ტრანზაცია„ (5კრ);
„შედარებითი პარტიული პოლიტიკა და პარტიული სისტემები“ (5კრ);
„პოლიტიკური ანთროპოლოგია“ (5კრ);
„ნაციონალიზმის კვლევები (5კრ).

7. საბაკალავრო პროგრამაზე **„ფსიქოლოგია“** (დანართი N39) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:
   პრაქტიკა (არჩევითი კურსი –"**პრაქტიკული: ბავშვის განვითარების დარღვევების შეფასება და აბილიტაცია**"

8. საბაკალავრო პროგრამაზე **„საერთაშორისო ურთიერთობები“** (დანართი N39) განხორციელდეს შემდეგი ცვლილებები:
   დაემატოს შემდეგი არჩევითი კურსი:
   „კავკასიის კონფლიქტები“ (5კრ).

სამაგისტრო პროგრამები:

1. სამაგისტრო პროგრამაზე **„პოლიტიკის მეცნიერება“** (დანართი 63) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   სავალდებულო კურსი „პრაქტიკა“ (5კრ) გახდა არჩევითი;

2. სამაგისტრო პროგრამაზე **„სახელმწიფო მართვა და საჯარო პოლიტიკა“** (დანართი 64) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   კურსის „ფისკალური დეცენტრალიზაცია და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება“ სახელწოდება იცვლება შემდეგი სახელწოდებით „სამთავრობთაშორისო ფისკალური ურთიერთობები და ადგილობრივი ეკონომიკური განვითარება“

3. სამაგისტრო პროგრამაზე **„დიპლომატია და საერთაშორისო პოლიტიკა“** (დანართი 65) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   „თეორია და მეთოდი საერთაშორისო ურთიერთობებში“ (გიორგი ხელაშვილი)- შეეცვალოს სტატუსი და სავალდებულო საგნის ნაცვლად გახდეს არჩევითი საგანი

   სავალდებულო საგანს „შედარებითი პოლიტიკა“ (თეონა გიუაშვილი) შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი

   საგანს „საერთაშორისო უსაფრთხოებას“ (დავით ჭოჭუა) შეეცვალოს სახელწოდება. ახალი სახელწოდება „უსაფრთხოების თანამედროვე გამოწვევები“
   საგანს „საქართველოს დიპლომატიის ისტორია“ (ფიქრია ასანიშვილი) შეეცვალოს სტატუსი და გახდეს არჩევითი ;

   დაემატოს არჩევითი საგანი „კონფლიქტების მოგვარების თეორია“, ლექტორი- თეონა გიუაშვილი

   დაემატოს არჩევითი საგანი “ამერიკის მთავრობა და დემოკრატიული მოქალაქეობა” (ჯეისონ ლინდსი);

   დაემატოს არჩევითი საგანი: კავკასიისა და ბალკანეთის პოლიტიკური პრობლემების შედარებითი ანალიზი“.

   დაემატოს 10 თავისუფალი კრედიტი .

4. სამაგისტრო პროგრამაზე **„მასობრივი კომუნიკაციის და მედიის კვლევები“** – (დანართი 45) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

დაემატა არჩევითი კურსი „ადამიანური რესურსების მართვა მედიაში“ (4კრ);

5. სამაგისტრო პროგრამაზე **„განათლების ფსიქოლოგია და კვლევა“** (დანართი 51) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   კვლევითი პრაქტიკუმი, 10 კრ., სავალდებულოს ნაცვლად იქნება **არჩევითი .**

   დაემატოს არჩევითი კურსი „პრაქტიკა - განათლების პრაქტიკულ ფსიქოლოგიაში (სკოლაში)“ 10 კრ'

6. სამაგისტრო პროგრამაზე **„ორგანიზაციის განვითარება და კონსულტირება'** (დანართი 49) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   „ჯგუფის დინამიკა 1 და 2“ 10 კრედიტიანი, გაერთიანდა და გახდა 1 სემესტრიანი „ჯგუფის დინამიკა“ (5კრედიტი);
   ამოღებულია „საწარმოს სამართლებრივი საფუძვლები“(კრ)
   დაემატა 1 არჩევითი კურსი: SPSS
   ე.წ. თავისუფალი კრედიტის სახით დაემატა 10 კრედიტი.

7. სამაგისტრო პროგრამაზე **“საზოგადოებრივი გეოგრაფია”** (დანართი 62) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   დაემატა 3 ახალი კურსი: 1 სავალდებულო „მსოფლიო ეკონომიკის გეოგრაფია“ (5კრ) და 2 არჩევითი კურსი – „განვითარების გეოგრაფია“ (5კრ) და „ახლო აღმოსავლეთის პოლიტიკური პრობლემები „(5კრ).

8. სამაგისტრო პროგრამაზე **“შრომისა და ორგანიზაციის ფსიქოლოგია”** (დანართი 58) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   დაემატოს არჩევითი კურსი: სტრატეგიული მენეჯმენტი" (5 კრ)

*სადოქტორო პროგრამები:*

1. სადოქტორო პროგრამაზე „**საერთაშორისო ურთიერთობები**“ (დანართი 76–2) (ხელმ. პროფ. ა. რომდელი) განხორციელდეს შემდეგი ცვლილება:

   პროგრამა გახდეს ქართულ–ინგლისურენოვანი.

ა(ა)იპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საერთაშორის ურთიერთობების მიმართულების პროფესორთა კრების

ოქმი № 1

ქ. თბილისი
14.02.2013

სხდომას ესწრებოდნენ:

1. სერგი კაპანაძე - ფაკულტეტის დეკანი, ასოცირებული პროფესორი;
2. ზურაბ დავითაშვილი - სრული პროფესორი;
3. ალექსანდრე რონდელი - სრული პროფესორი;
4. ფიქრია ასანიშვილი - ასოცირებული პროფესორი;
5. თორნიკე თურმანიძე - ასოცირებული პროფესორი;
6. პეტრიაშვილი - ასისტენტ-პროფესორი
7. ეკა აკობია - ასისტენტ-პროფესორი.

ფაკულტეტის საერთაშორის ურთიერთობების მიმართულების პროფესორთა კრებაზე შემოწმდა დამსწრე პროფესორების რაოდენობა. დადგინდა, რომ კრებას ესწრება მიმართულების შვიდი პროფესორი.

დღის წესრიგი:

1. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოში საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან ფაკულტეტის საბჭოს წევრის არჩევა.

უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 14 მარტის N41/01-01ბრძანების მე-5 დანართის მე-2 პუნქტის შესაბამისად, კრების თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ზურაბ დავითაშვილი, ხოლო კრების მდივნად - ფიქრია ასანიშვილი. კრების თავმჯდომარისა და მდივნის არჩევა განხორციელდა ღია კენჭისყრით და გადაწყვეტილება მიღებულ იქნა ერთხმად.

კრების წევრებს არ დაუყენებიათ რაიმე შუამდგომლობა სხდომის დღის წესრიგთან დაკავშირებით.

I. კრებამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხი.

კრების თავმჯდომარემ, ზურაბ დავითაშვილმა გააცნო კრების წევრებს უნივერსიტეტის რექტორის 2012 წლის 14 მარტის N41/01-01ბრძანების მე-5 დანართით დამტკიცებული „სოციალურ დაპოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს არჩევის წესი და კვოტები". აღნიშნა, რომ მოქმედი წესით ფაკულტეტის საბჭოში აკადემიური პერსონალის წარმომადგენლები აირჩევიან შესაბამისი პროგრამული მიმართულების პროფესორთა კრებაზე. ასევე, აღნიშნა, რომ ეს საკითხის დღის წესრიგში დააყენა მიმართულების ასოცირებული პროფესორის, სერგი კაპანაძის დეკანის მოვალეობის შემსრულებლის თანამდებობაზე დანიშვნამ. იქიდან გამომდინარე, რომ სერგი კაპანაძე ფაკულტეტის საბჭოს უხელმძღვანელებს დეკანის მოვალეობის შემსრულებლის სტატუსით, აუცილებელია, საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულებიდან აირჩეს ფაკულტეტის საბჭოს მე-4 წევრი.

თავმჯდომარემ ფაკულტეტის საბჭოს წევრის კანდიდატად დაასახელა სრული პროფესორი, ალექსანდრე რონდელი. კრების სხვა წევრებს არ დაუსახელებიათ სხვა კანდიდატურა.

კრებაზე აღინიშნა, რომ ალექსანდრე რონდელი ღირსეულად შეძლებს წარმოადგინოს მიმართულება ფაკულტეტის საბჭოში.

კრების თავმჯდომარემ ღია კენჭისყრაზე დააყენა სრული პროფესორის, ალექსანდრე რონდელის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს წევრად არჩევის საკითხი:

მომხრე: 7 წევრი;

წინააღმდეგი: 0 წევრი.

**კრებამ ერთხმად გადაწყვიტა:**

თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სრულ პროფესორი, ალექსანდრე რონდელი არჩეულ იქნეს ფაკულტეტის საბჭოს წევრად.

კრების თავმჯდომარე:

ზურაბ დავითაშვილი

კრების მდივანი

ფიქრია ასანიშვილი

15 თებერვალი, 2013

## სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭო

### სოციოლოგიის და სოციალური მუშაობის მიმართულება

1. იაგო კაჭკაჭიშვილი
2. ლალი სურმანიძე
3. თამარ მახარაძე +
4. ნინო დურგლიშვილი +

### საერთაშორისო ურთიერთობების მიმართულება

5. ზურაბ დავითაშვილი
6. სერგი კაპანაძე
7. ფიქრია ასანიშვილი
8. გიორგი ხელაშვილი

### პოლიტიკური მეცნიერების მიმართულება

9. ალექსანდრე კუხიანიძე
10. მალხაზ მაცაბერიძე
11. გია ჟორჟოლიანი
12. ნანა მაჭარაშვილი

### ფსიქოლოგიის მიმართულება

13. რევაზ ჯორბენაძე
14. გუგული მაღრაძე
15. თამარ გაგოშიძე
16. ია კუტალაძე
17. ხათუნა მარწყვიშვილი
18. მზია წერეთელი +

### ჟურნალისტიკის მიმართულება

19. მარიამ გერსამია
20. დალი ოსეფაშვილი
21. მარი წერეთელი
22. მანანა შამილიშვილი
23. ნანა ტალახაძე

### საზოგადოებრივი გეოგრაფიის მიმართულება

24. იოსებ სალუქვაძე
25. რევაზ გაჩეჩილაძე
26. გიორგი გოგსაძე

27. თამარ დოლბაია

სტუდენტური თვითმმართველობა

28. ლევან ჩოხელი
29. დავით მჭედლიშვილი
30. ბექა დადეშქელიანი
31. გიორგი ყიფშიძე
32. თეონა კვანჭიანი
33. გიორგი კაკაურიძე
34. ნესი კუპრეიშვილი